საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-08/111

ქ. ბათუმი 5 სექტემბერი 2018 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შპს-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერიტეტისა და შპს-ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის რიგგარეშე მობილობის ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი"–ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს მე-5 მუხლის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 სექტემბრის №809 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის, სსიპ-შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული რანჟირების დოკუმენტის შესაბამისად, განისაზღვროს შპს-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და შპს-ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის რიგგარეშე მობილობის ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

1.1 ბსუ-ში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის (გარე მობილობის) მსურველთათვის:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2018 წლის 13,14,17 სექტემბრის ჩათვლით;
ბ) მობილობაში მონაწილეობის მსურველი პირის ჩარიცხვის ბრძანების პროექტში მოხვედრის წინაპირობაა უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმება, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა-2018 წლის 19,20,21 სექტემბრის ჩათვლით.
გ) ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2018 წლის 24 სექტემბერი.

1.2 **განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:**

ა) განცხადება;
ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი(დედანთან ერთად);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ორი ცალი ფოტოსურათი (3χ4), ასევე ელექტრონული ვერსია (CD დისკი);

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისათვის);

2 დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს მობილობის პროცესის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.

3 ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

4 დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

5 წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

6 ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**